

.....

რა განსხვავებაა ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებულ კანონდარღვევებს შორის და არის თუ არა ყველა ეს კანონდარღვევა სისხლის სამართლის დანაშაული?

ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, ისე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. ეს იმას ნიშნავს, რომ ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული კანონდარღვევები შეიძლება შეფასდეს როგორც სისხლის სამართლის დანაშაულიც და როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევაც.

აქვს თუ არა მოქალაქეს იარაღის შეძენის, შენახვის, ტარების უფლება მოქმედი კანონმდებლობით?

საქართველოში მოქმედი კანონი «ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ ნებისმიერ მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, შეიძინოს ცეცხლსასროლი იარაღი. მოკლელუღიანი (პისტოლეტი, რევოლვერი) ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა დასაშვებია მხოლოდ შენახვის უფლებით. აკრძალულია ამ იარაღის ტარება შესანახი ადგილის გარეთ. გამონაკლისია მიზნობრივი დანიშნულების სანადირო იარაღი.

ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა ჩაითვლება კანონიერად მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოხდება სპეციალური სახელმწიფო ლიცენზიის მქონე იურიდიული პირის მიერ. იარაღის შეძენა დასაშვებია ერთი წლის განმავლობაში ნებართვის მიღების დღიდან, ხოლო შეძენის შემთხვევაში, იარაღი ათი დღის ვადაში უნდა დარეგისტრირდეს შსს-ში.

იარაღის შეძენა ეკრძალება თვრამეტ წლამდე პირს, სულით ავადმყოფს, არაქმედუნარიანს, ნარკომანს და ალკოჰოლიკს, ნასამართლევ პირს (თუ მოხსნილი ან გაქარწყლებული არ აქვს ნასამართლობა), აგრეთვე პირს, რომლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ან შინაგან საქმეთა ორგანოებში გახსნილია სამეთვალყურეო-პროფილაქტიკური საქმე ოჯახურ და მეზობლურ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

.....

იარაღი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად უნებართვოდ არის დამზადებული, განეკუთვნება თვითნაკეთ იარაღთა კატეგორიას (მაგ. გადაჭრილი სანადირო თოფი). ასეთი იარაღის რეგისტრაციაში გატარება, მასზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების გაცემა აკრძალულია.

იარაღის გასხვისების შემთხვევაში, ის ხელახლა უნდა დარეგისტრირდეს, ისევე როგორც იარაღის მფლობელის გარდაცვალების შემთხვევაში.

აქვს თუ არა სახელმწიფოს რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის ჩამორთმევის უფლება?

იარაღის ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს იმ სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელმაც გასცა ეს ნებართვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მე-11¹-მუხლში მითითებული საფუძველი.

რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება პიროვნებას იარაღის ტარებისთვის იმ შემთხვევაში, თუ მას მიღებული აქვს შესაბამისი ნებართვა შსს-გან ცეცხლსასროლი იარაღის სახლში შენახვაზე?

პირებს, რომელთაც აქვთ ნებართვა ცეცხლსასროლი იარაღის შენახვაზე, გლუვგულუღიანი სანადირო და საბრძოლო მასალების შენახვისა და გადაზიდვის წესების დარღვევის შემთხვევაში, ეკისრებათ **ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა** (მაგ. სანადირო იარაღის გადატანა აწყობილი სახით, ასევე, დატენილი ვაზნებით, ან საბრძოლო მასალების გადაზიდვისას უსაფრთხოების ზომების უგულვებელყოფა და დარღვევა).

.....

^[1] მუხლი 11. იარაღის საკუთრებისა და სარგებლობის ნებართვის შეწყვეტა იარაღის საკუთრებისა და სარგებლობის ნებართვა წყდება, თუ:
1. გავიდა მოსარგებლისათვის მიცემული იარაღის ტარების ნებართვის დღეგენილი ვადა;
2. შეწყდა იმ სახელმწიფო ორგანოს, სანარმოს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციის საქმიანობა, რომელთან დაკავშირებითაც გაცემული იყო იარაღის შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვა, ან შეწყდა პირის შრომითი ურთიერთობა იმ სანარმოსთან, დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან, რომელსაც ასეთი ნებართვა ჰქონდა;
3. გარდაიცვალა იარაღის მფლობელი;
4. დაირღვა იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის,ტარების, გადაზიდვის, გადაგზავნისა და გამოყენების წესები;
5. გაუქმდა იარაღის შენახვისა და ტარების ნებართვა; ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

.....

რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება პიროვნებას იმ შემთხვევაში, თუ ის ინახავს ცეცხლსასროლი იარაღს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვის გარეშე?

თუ პირი შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვის გარეშე შეიძენს ან შეინახავს ცეცხლსასროლ იარაღს (გარდა გლუვგულუღიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალებს, ფეთქებად ნივთიერებებსა და ასაფეთქებელ მონყობილებებს, მას შეიძლება დაეკისროს შემდეგი სახის პასუხისმგებლობა:

- ჯარიმა;**
- თავისუფლების შეზღუდვა სამ წლამდე ვადით;**
- ტუსალობა ორ თვემდე ვადით;**
- თავუსფლების აღკვეთა სამ წლმდე ვადით.**

.....

რა სახის პასუხისმგებლობას იწვევს ცეცხლსასროლი იარაღის ტარება, დამზადება, გასაღება და ა.შ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვის გარეშე?

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება ისჯება ჯარიმით, ტუსალობით **ოთხ თვემდე ვადით**, ანდა **თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ვადით**. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო დამზადების, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღებისთვის პირს ეკისრება **სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა** თავისუფლების აღკვეთის სახით **ხუთიდან ათ წლამდე ვადით** (236-ე მუხლი).

.....

რას ნიშნავს ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და რა პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს დამრღვევს?

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიიჩნევა სახელმწიფო ლიცენზიის მქონე იარაღით მოვაჭრე იურიდიული პირების მიერ ცეცხლსასროლი გლუვგულუღიანი სანადირო თოფის და მისი საბრძოლო მასალის მიყიდვა იმ პირებისათვის, რომელთაც არა აქვთ შინაგან საქმეთა ორგანოების სათანადო ნებართვა. აღნიშნული მოქმედებისათვის სამართალდამრღვევი დაჯარიმდება **შრომის ანაზღაურების ერთი მინიმალური ოდენობით**². ერთი წლის განმავლობაში იმავე მოქმედების განმეორების შემთხვევაში, პირი დაჯარიმდება **შრომის ანაზღაურების ორი მინიმალური ოდენობით** (156-ე მუხლი).

ადმინისტრაციულ სამართლადარღვევად მიიჩნევა ასევე ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა დასახლებულ პუნქტებში. აღნიშნული მოქმედებისათვის სამართალდამრღვევი **ჯარიმდება შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე** (167-ე მუხლი).

.....

.....

.....

^[2] "შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა" გულისხმობს ქვეყანაში დაწესებულ ყველაზე მაღალ ხელფასს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა წინასაარჩევნო აგიტაციის ან ხმის მიცემისათვის გამოყოფილ ადგილას ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით, ანდა საბრძოლო მასალით მისვლა, თუ ეს არ არის დაკავშირებული პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებასთან. სამსახურებრივ მოვალეობაში იგულისხმება ადამიანთა ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რისთვისაც იარაღი აუცილებელი უნდა იყოს. სამართალდამცავი ორგანოების მიერ აღნიშნული მოქმედებისათვის სამართალდამრღვევი ჯარიმდება **შრომის ანაზღაურების სამ მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო თუ სამართალდამრღვევი თანამდებობის პირია – ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე** (174^ე-ე მუხლი).

მოქალაქე, რომელიც ცეცხლსასროლ გლუვლულიან სანადირო იარაღს შეიძენს, შეინახავს, გადაცემს სხვა პირს ან გაყიდის შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვის გარეშე, დაჯარიმდება **შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე იარაღის კონფისკაციით ან ამის გარეშე**. ერთი წლის განმავლობაში იმავე მოქმედების განმეორების შემთხვევაში, პირი დაჯარიმდება **შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალური ოდენობამდე** (180-ე მუხლი).

თუ მოქალაქე არ დაიცავს ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციის ან ხელახალი რეგისტრაციის კანონით დადგენილ ვადას, ანდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო შინაგან საქმეთა სამინისტროში დაირღვევა მისი აღრიცხვაზე აყვანის წესები, იგი დაჯარიმდება **შრომის ანაზღაურების ერთი მინიმალური ოდენობით** (182-ე მუხლი).

მოქალაქეები, რომლებსაც მონადირეთა საზოგადოებიდან გამოსვლის გამო შინაგან საქმეთა ორგანოებმა გაუუქმეს ცეცხლსასროლი გლუვლულიანი სანადირო იარაღისა და საბრძოლო მასალების შენახვის ნებართვა, ვალდებული არიან მოახდინონ აღნიშნული იარაღის რეალიზაცია. რეალიზაციისგან თავის არიდება ჯარიმდება **შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე** იარაღისა და საბრძოლო მასალების ჩამორთმევით, მისი საფასურის გადახდით (183-მუხლი).

პასუხისმგებლობა ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული სხვა სახის კანონდარღვევისთვის

სისხლის სამართლის კოდექსი სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევს ცეცხლსასროლი იარაღის, მათ შორის, გლუვლულიანი სანადირო თოფის დაუდევრად შენახვას, რამაც შექმნა ამ იარაღის სხვა პირის მიერ გამოყენების პირობა და გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. ასეთი ქმედებისათვის შემდეგი სახის სასჯელები არსებობს:

- **ჯარიმა;**
- **გამასწორებელი სამუშაოები ერთ წლამდე ვადით;**
- **თავისუფლების შეზღუდვა ორ წლამდე ვადით;**
- **ტუსალობა სამ თვემდე ვადით;**
- **თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით.** (სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლი)

ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), მისი დეტალის, საბრძოლო მასალის ფეთქებადი ან ასაფეთქებელი ნივთიერების უკანონოდ დაუფლების, ასევე მისაკუთრების მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის გამოძალვის შემთხვევებში, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ამგვარი ქმედებები ისჯება ტუსალობით **ექვს თვემდე** ვადით, ან თავისუფლების აღკვეთით **სამიდან შვიდ წლამდე** ვადით (237-ე მუხლი).

რა შემამსუბუქებელი გარემოებები მოქმედებს ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კანონდარღვევის დროს?

იმ შემთხვევაში, თუ პირი თავისი ნებით ჩააბარებს ცეცხლსასროლ იარაღს, სხვა საბრძოლო მასალას, ან ფეთქებად ნივთიერებებს და არა აქვს ჩადენილი სხვა დანაშაული, თავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან (236-ე მუხლი).

გათვალისწინებულია, თუ არა ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ცივი იარაღის შენახვის, შექმნის ან ტარებისათვის?

2000 წელს ამოქმედებული ახალი სისხლის სამართლის კოდექსისა და ახალი ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად, ცივი იარაღის შენახვა, შექმნა ან ტარება აღარ წარმოადგენს კანონდარღვევას და აღნიშნული კატეგორიის ნაკეთობანი არ წარმოადგენენ აუცილებელი სახელმწიფო რეგისტრაციის საგანს.

მომზადებულია
სამართლებრივი განათლების ასოციაციის
მიერ

თბილისი
ინგოროვანა ქუჩა 14
ტელ.: 995 32 93 58 41, 92 29 14
ფაქსი: 995 32 92 05 96
ელ-ფოსტა: alpeonline@gol.ge